F567 N 3402

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოთა ხევსური

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-11 წელი

№ 19 (179)

ოქტომბერი, 1967 წელი



თბილისი, ვოგზლის მოედანი.

მეგობართა შეკვეთით

ბათუმის მანქანათაშენებელი ქარხნის საამქროებში არაჩვეულებრივი შრომითი აღმავლობაა. ბათუმელი მანქანათმშენებლები ასრულებენ ჩვენი ვიეტნამელი და გერმანელი მეგობრების სპეციალურ შეკვეთას — ამზადებენ მანქანებს ჩაისა და საკონსერვო მრეწველობისათვის.

ჩაის სახმობი ღუმელი და 4 როლერი დაიდგმება ფუ-ტუს პროვინციის ჩაის ფაბრიკაში მრავალი სხვა მანქანის გვერდით, რომლებიც ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა დაამზადეს.

ბათუმის მანქანათაშენებელი ქარხანა პირველად ასრულებს გერმანელი მეგობრების შეკვეთას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საკონსერვო მრეწველობის ერთ-ერთ საწარმოს გაეგზავნება 4 მანქანა.

ფუალსატუმბები იეეენისათვის

ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივს ბევრი შეკვეთა მოსდის წყალსატუმბებზე საზღვარგარეთიდან. ამ დღეებში აქ მიიღეს წერილი. ქარხანას სთხოვენ დაამზადოს იემენისათვის 6 დიზელძრავიანი წყალსატუმბი.

ახლა საწარმო მუშაობს ამ შეკვეთის შესრულებისათვის. ქარხანა წყალსატუმბების დასამონტაჟებლად იემენში გაგზავნის თავის სპეციალისტს.

ახალი სამკურნალო წყარო

ალმოაჩინეს ბორჯომის რაიონში. აქ 200 მეტრი სიღრმიდან მოჩქეფს „ესენტუკის“ ტიპის ნახშირორჟანგა მარილიანი ტუტე წყლის მძლავრი შადრევანი. ჭაბურღილი წამში 2 ლიტრ წყალს იძლევა.

საინტერესო წყარო აღმოაჩინეს გეოლოგებმა დასავლეთ საქართველოშიც, ზუგდიდის მახლობლად ორი კილომეტრის სიღრმეზე აღმოჩენილია ცხელი წყლის დიდი მარაგი. წყლის ტემპერატურაა 9 გრადუსი. ჭაბურღილის დებიტი დღეღამეში ექვს მილიონ კუბურ მეტრს უდრის. ცხელ წყალს ფართოდ გამოიყენებენ სათბურიან მეურნეობებში, შენობების გასათბობად, ჩაის ფაბრიკების ტექნოლოგიურ ციკლში.





კოლხეთის

კოლხეთის დაბლობი! 200 კილომეტრზე გადაჭიმულა იგი საქართველოს შავი ზღვის გასწვრივ. აქ ზამთარი საერთოდ არ იცის. თერმომეტრის ვერცხლისწყლის სვეტი იშვიათად აჩვენებს ყინვას. ნოყიერი ნიადაგი, სითბოსა და სინესტის სიუხვე — თითქოსდა ყველა პირობაა, რომ კოლხეთში ბაღები ჰყვაოდეს. მაგრამ მისი ბუნებრივი სიმდიდრე საუკუნეების განმავლობაში გამოუსადეგარი იყო. მიწის უდიდესი ფართობი დაფარული იყო ჭაობითა და გუბეებით. ორანჟერეის ატმოსფეროში იზრდებოდა საუკუნის ხეები, ლიანები, გვიმრა. გაუვალი მცენარეებითა და ჭაობებით დაფარულ ადგილებში ბუდობდნენ კოღოები და ქინქლა. „დამპალ ადგილებს“ უწოდებდა ხალხი კოლხეთს.

ჭაობების ამოშრობა, ამ ადგილების გაჯანსაღება და ათვისება რა თქმა უნდა არ შეეძლო მეფის რუსეთს. ეს ჰეშმარიტად დიდი და რთული სამუშაო, რომელიც ცნობილია „კოლხეთის დაპყრობის“ სახელწოდებით, შესაძლებელი გახდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ჭაობებს გამოგლიჯეს დიდი ფართობები. იქ, სადაც ადამიანიც არ დადიოდა, გაშენდა სოფლები ქვალონი, ხორგა, ჭალადიდი, საბჭოთა მეურნეობები, ჩაისა და ციტრუსების პლანტაციები, ხეხილის ბაღები, ვენახები, ყანები და ბაღჩები. ამჟამად კოლხეთის დაბლობის ამოშრობა



...განსაკუთრებულია კოლხეთში მდინარეები, ისინი ფერდობებიდან ღრიანცელით ეშვებიან დაბლა, თან მოაქვთ უამრავი მიწა, მაგრამ სწორ დაბლობზე სისწრაფეს კარგავენ და ძლივ-ძლივობით მიიკვლევენ გზას ზღვისკენ. მდინარის ფსკერზე ჯდება დიდი რაოდენობის შლამი და ავსებს არხს. ამიტომ წყალდიდობის დროს მდინარეები გადმოდიან კალაპოტიდან და ტბორავენ არემარეს. დაბლობის მდინარეების გასწვრივ 200 კილომეტრის ჯებირები აღმართეს მშენებლებმა. მაგრამ კიდევ უფრო რთული იყო წყალშემკრები, მაგისტრალური და კოლექტორული არხების მშენებლობა, რომელთა საერთო სიდიდე ამჟამად 1500 კილომეტრს აღწევს.

ჩვეულებრივი სამელიორაციო სამუშაოების კომპლექტი გამდიდრდა ორიგინალური საშუალებებით. გამოყენებული იქნა აგრეთვე... მდინარე რიონის წყლები, რომელიც სათავეს იღებს კავკასიონის მთებში და ყოველწლიურად თან მოაქვს ათამდე მილიონი ტონა სილა და შლამი. ხელოვნური ჯებირებით გარშემორტყმულ ჭაობებში მიუშვებდნენ რიონის მღვრიე წყალს. მას შემდეგ, როცა სილა და შლამი დაილექებოდა, სუფთა წყალს უშვებდნენ ზღვაში. რამდენიმე ასეთი პროცესის შემდეგ იქმნებოდა სქელი გრუნტი და ჭაობიც ქრებოდა. კოლხეთის ცენტრის — ქალაქ ფოთის მახლობლად ამ წესით დაშრობილ მიწებზე განლაგებულია ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის კოლხეთის ფილიალის საცდელი მეურნეობა. მეცნიერები სწავლობენ ნიადაგს, გამოჰყავთ სხვადასხვა კულტურა, ურჩევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს დაშრობილ ადგილებში საჭირო მუშაობის პროგრამულ მეთოდებს.

აქტიურად მონაწილეობენ ბუნების გარდაქმნაში კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობის მუშები, რამდენიმე სოფლის მეურნეობის სამეცნიერო დაწესებულების კოლექტივები, მექანიზატორები. ძირითად სამუ-

სურათებზე: კარგად გრძნობდნენ თავს კამეჩები კოლხეთის ჭაობებში (ძველი სურათის რეპროდუქცია);

თორმეტი წელია მუშაობს კოლხეთში მექანიზატორე ავთანდილ წულაია (ქვემოთ, მარცხნივ). მან ამოიღო ნახევარი მილიონი კუბომეტრი მიწა. ასობით კილომეტრზე გადაჭიმულა მის მიერ გაყვანილი არხები.

სიჭაბუკე

შაოს ახორციელება საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის ტრესტი „კოლხეთმშენი“. გრძელდება ბრძოლა წყლის სიჭარბესთან, ძლიერ ქარებთან, წარმოებს მრავალწლიან მცენარეთა დარგვა. პლანტაციებსა და ბაღების ირგვლივ შექმნილია მძლავრი დამცავი ტყის ზოლები. პროფილირებულ კვლებში წარმოებს ჩაის პლანტაციების გაშენება ეფექტური წესით. ასეთ კვლებში მცენარეულის საძირე სისტემა გარანტირებულია ჭარბი წყლით დაზიანებისაგან. აჭაური მეურნეობები კარგ მოსავალს იღებენ — ჰექტარიდან 5000 კილოგრამამდე ხარისხოვან ჩაის ფოთოლს.

კარგად „იშრომეს“ კოლხეთის დაშრობაზე მუდამ მწვანე ხეებმა-ტუმბებმა — ევკალიპტებმა, რომელთაც ძალუძთ ნიადაგიდან ამოწოვონ ფესვებით ტენი და ფოთლების მეშვეობით ააორთქლოს. ერთი ჰექტარი ევკალიპტის წარაფი წლის განმავლობაში მიწიდან აძოსწოვს ერთ მილიონ ვედრო წყალს.

ხუთწლედის განმავლობაში კოლხეთის დაბლობზე 220 ათასი ჰექტარიდან სამელიორაციო სამუშაოები უნდა ჩატარდეს 90 ათას ჰექტარზე.

ეს ხუთწლედი, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა **მ. ღვინჯილიამ,** — შეიძლება ჩაითვალოს მობრუნების ეტაპად კოლხეთის დაბლობის ათვისებაში. აწლობან ათვისებულ მიწებზე შექმნილ საბჭოთა მეურნეობების „კოლხეთის“ და „განთიადის“ გვერდით გაჩნდება კიდევ 20 საბჭოთა მეურნეობა. ხოლო კოლხეთის დაბლობის მთლიანად ათვისების შედეგად კოლხეთი გადაიქცევა სუბტროპიკული კულტურების უდიდეს ცენტრად. იგი მისცემს სამშობლოს 150-160 ათას ტონა ჩაის ფოთოლს, 30-40 ათას ტონა მანდარინს, ლიმონს, ფორთოხალს, 7.000 ტონა დაფნის ფოთოლს, ეთერზეთოვანი კულტურების უხვ ნედლეულს.

...ეს ის კოლხიდაა, სადაც თქმულებით არგონავტებმა იასონის მეთაურობით ლაშქრობა მოაწყვეს ოქროს საწმისისათვის. ჩვენ არ მივუგებით წარმტაც ლეგენდას, რომელიც უძველესი ელინის ფანტაზიის წყაროა. მაგრამ ამ მითოლოგიური გამონაგონიდან ერთი უეჭველია: მდიდარი მზიური მხარე ჯერ კიდევ მაშინ იყო ცნობილი და ადამიანის ყურადღებას იპყრობდა.

საბჭოთა ადამიანების ხელით კოლხეთი გადაიქცა აყვავებულ ბაღად.

ო. გორგაძე.


* * *











სურათებზე: ზემოდან — მდინარე რიონის წყალგამყოფი. მისი საშუალებით ხდება წყლის რეჟიმის რეგულირება.

— ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის კოლხეთის ფილიალის უმცროსი მეცნიერი-მუშაკი რუზანა აფხაზავა ატარებს ნიადაგის ანალიზს (მარცხნივ).

— ინსტიტუტის კოლხეთის ფილიალის ციტრუსების ხეები. აქ ახალ პირობებში აწარმოებენ გამოცდას და გამოიმუშავებენ მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონის, ჩაის და დაფნის გამოყვანის აგროტექნიკას;

— ქობულეთის რაიონის სოფელ ფიჭვნარის დაშრობილ მიწებზე შექმნილი სამრეწველო ჩაის პლანტაციები;

— ბულდოზერები სამელიორაციო სამუშაოების დროს აბაშის რაიონში.

ქარხული ქერამიკა

საფრანგეთში, იტალია, იაპონია, კანადა, ჩეხოსლოვაკია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ალჟირი — აი ის ქვეყნები, სადაც თავის პროდუქციას გზავნის მცხეთის კერამიკის ქარხანა — თბილისის სამხატვრო აკადემიის სასწავლო-სამეცნიერო ბაზა. 64 სახეობის სხვადასხვა პროდუქცია, ტანწერწეტა დოქები „გაზაფხული“ და „თამარი“, ხილისა და ყვავილის ლამაზი ლარნაკები „ირინე“, ქართული ღვინის სასმისები „ჭინჭილა“ და ძველებური ერთვნული ორნამენტით შემკული ფიალები დიდად ხიბლავს გამოყენებითი ხელოვნების ამ დარგის მოყვარულთ.

ქარხნის ნაწარმი ირანში, თურქეთში, ალჟირში, კანადაში გამართული ოთხი საერთაშორისო გამოფენის მონაწილეა. ქარხნის 11 სახეობის ნაწარმის 1500-მდე ექსპონატი გაიგზავნა ლაიფციგში ტრადიციულ საშემოდგომო საერთაშორისო ბაზრობაზე. ლაიფციგის ბაზრობასთან ერთად რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქ ბუქარესტში გაიხსნა საბჭოთა სავაჭრო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობას იღებენ თბილისელი კერამიკოსებიც. ამ გამოფენაზე წარმოდგენილია 20 სახეობის პროდუქცია. მცხეთის ქარხნის მარკიანი კერამიკული ნაკეთობანი გაგზავნილია აგრეთვე იაპონიის ქალაქ ოსაკაში.

საზღვარგარეთის სავაჭრო ფირმები დიდ ინტერესს იჩენენ ქართული კერამიკისადმი. ამას წინათ საფრანგეთის საგაჭრო ფირმის წარმომადგენელმა ქარხანას შეუკვეთა კერამიკული სასმისების დიდი პარტია.

იოსებ ჩხიკვაძე — ახალი მოსაპირკეთებელი მასალის შემქმნელი, ერთ-ერთი იმ ოპტიმისტთაგანია, რომელიც, რაც გინდა სასტიკად მოექცეს ბედი, მაინც არ კარგავს წარმატების იმედს.

...იქმნებოდა უცნაური სიტუაცია. აღმოჩენათა და გამოგონებათა სრულიად საკავშირო კომიტეტმა საავტორო მოწმობა გასცა ახალ მასალაზე, მაგრამ როცა ი. ჩხიკვაძემ თავისი გამოკვლევა გააფორმა სადისერტაციო ნაშრომად და დაიცვა იგი, უმაღლეს სატესტაციო კომისიაში სპეციალისტთა შეფასება მოულოდნელად სხვადასხვა იყო. ზოგი აღიარებდა ნაშრომის სიახლეს, სხვებს მიაჩნდათ, რომ მას აკლია მეცნიერული დასაბუთება. უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დისერტაცია შეაჩერა.

ი. ჩხიკვაძე — თბილისის საშენ მასალათა მრეწველობის ინსტიტუტის თანამშრომელი — განაგრძობდა დაწყებულ მუშაობას: სრულყოფდა მასალას, პოულობდა მისთვის ახალ გამოყენებას.

თავდაპირველად მასალა გათვალისწინებული იყო შენობის ფასადის მოსაპირკეთებლად (კირ-კარბონატის შემკვრელს ფენას უსვამენ საცხოვრებელ შენობათა მზა პანელებს და აძლევენ მათ სასურველ ფერს). მაგრამ შემდეგში ამ მასალით დაინტერესდნენ არქიტექტორები და მოქანდაკეები. მაგალითად, მოქანდაკე დიმიტრი ყიფშიძემ შავი ფერის ახალი მასალით გააფორმა თავისი შოთა რუსთაველის ოთხმეტრიანი ბრინჯაოს ქანდაკება. ქანდაკება ძალიან დიდ შთაბეჭდილებას ახდენს.

მაგრამ იოსებ ჩხიკვაძესთან ჩვენი ნაცნობობის საბაბი სულაც არ ყოფილა მისი გამოგონება. ბრესტის საოლქო გაზეთ „ზარიაში“ დაბეჭდილი იყო: „გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და გულადობისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს მედლით „მამაცობისათვის“... პარტიზანთა და იატაკქვეშეთის მონაწილეთა შორის, რომლებიც ოკუპაციის წლებში მოქმედებდნენ ბელორუსიის ტერიტორიაზე და აღნიშნული იყვნენ ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, ვნახეთ იოსებ ისიდორეს-ძე ჩხიკვაძის სახელი.

... მან ჯარისკაცის ფარაჯა ჩაიცვა, როცა 21 წლისა იყო. ომმა დაატოვებინა ინსტიტუტი, დააშორა საცოლეს.

1942 წელი საზღვაო ქვეითი ჯარის ლეიტენანტის, სევასტოპოლის დამცველის ი. ჩხიკვაძისათვის ტრაგიკული აღმოჩნდა. იგი ამოშალეს ცოცხალთა სიიდან და მშობლებს გაუგზავნეს ლაკონური ტექსტი „დაიკარგა უგზო-უკვლოდ“.

მაგრამ ლეიტენანტი არ დაღუპულა ბრძოლაში. იგი აღმოჩნდა ფაშისტურ საკონცენტრაციო ბანაკში. აქ ბედმა შეახვედრა ლევან გამცემლიძესთან. მათ მოახერხეს კავშირის დამყარება პოლონელ პარტიზანებთან (ბანაკი პოლონეთის ტერიტორიაზე იყო). ოცდაათი კაცი გაიქცა ტყვეობიდან. ისინი გახდნენ სახალხო წინააღმდეგობის მებრძოლები. პარტიზანობდნენ პოლონეთში, ბრესტის ტყეებში. მათი, ავრეთვე შ. ბაბუნაშვილისა და შ. კობაიშვილის საბრძოლო დამსახურება 20 წლის შემდეგ აღინიშნა მთავრობის ჯილდოთი — მედლით „მამაცობისათვის“. (ლევან გამცემლიძე ერთი წლის წინათ გარდაიცვალა, ისე რომ ვერ მოასწრო საბრძოლო ჯილდოს მიღება).

პოლონეთის დედაქალაქ ქ ი ს ა თ ვ ი ს ბრძოლებში მიღებული მძიმე ჭრილობის შემდეგ დემობილიზებული ი. ჩხიკვაძე თბილისში დაბრუნდა. მან განაგრძო სწავლა. ამაში დაეხმარა ანასტასია, ქალიშვილი, რომელზეც იგი დანიშნული იყო. ახალგაზრდა ცოლ-ქმარმა ერთად მიიღეს ინჟინრის დიპლომები.

იოსებ ჩხიკვაძე და... სხვები

ფოტორეპორტაჟი

მთების რომანტიკა





კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ კალთაზე გადაჭიმულ სოფელ ახეისაკენ, რომელიც ამ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე საგრძნობლად გაიზარდა, მხოლოდ ზაფხულში იხსნება მთის ბილიკები დოუსა და ანჩხოს გადასასკლელებით. აი სწორედ აქ, ზღვის დონიდან თითქმის 2.000 მეტრის სიმაღლეზე ღმოაჩინეს ქართველმა გეოლოგებმა გოგირდოვანი ვერცხლისწყლის შემცველი მინერალის — სინგურის მდიდარი საბადო. წლების მანძილზე გეოლოგთა ერთმა ჯგუფმა დიდი მუშაობა გასწია და დეტალურად შეისწავლა ვერცხლისწყლის ეს საბადო. წიაღის მზვერავებმა კლდის ქანებში ათობით ჭაბურღილი გაბურღეს, გაიყვანეს ასზე მეტი შტოლნი, ჩაატარეს გეოფიზიკურ, გეოლოგიურ და სხვა სპეციალურ სამუშაოთა მთელი კომპლექსი. დაუღალავმა ძიებამ ნაყოფი გამოიღო. არხეის ვერცხლისწყლის საბადო, გეოლოგთა თვალსაზრისით, უდიდესია ამიერკავკასიაში.


საბადოს ცენტრალური ნაწილის სადაზვერვო სამუშაოები წელს დამთავრდება და გაისად დაიწყება მადნის ექსპლოატაცია. გეოლოგები კი მთებში წავლენ „ურჩხულის სისხლის“ საძებნელად, ასე ეძახიან სინგურს ინდოეთში მკვეთრად წითელი ფერის გამო.

სურათებზე: ვერტმფრენი გეოლოგების ერთგული დამხმარეა. დღეში რამდენჯერმე მიფრინავს იგი მთებისკენ, გეოლოგებს სანოვაგეს, საწვავ და სამშენებლო მასალას უზიდავს;

მთები რომ არ დაეტოვებინა, ამირან ვიბლიანმა თბილისის უნივერსიტეტის გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ათი წლის მანძილზე მთების ბილიკებზე მან ათასობით კილომეტრი გაიარა და მიწის წიაღის ბევრი საიდუმლო გახსნა. ეი კვლავ რაღაც საინტერესო იპოვნა ამირანმა, იგი გულმოდგინედ სინჯავს მას;

ამ სურათზე კი ერთ დღეს არჩეული კლდის ქანების ის ნიმუშებია, რომლებიც სინგურს შეიცავენ.

ფოტო ი. ჯოხონელიძისა.



ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲓᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲡ მკითხველებს ალბათ ახსოვთ თამარ დრაგაძის სახელი. ეს ქართველი ქალიშვილი ლონდონში ცხოვრობს და მოღვაწეობს. მისმა რომანებმა ინგლისელი მკითხველის საყოველთაო აღიარება მოიპოვა. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია კიდევ ერთხელ გადაათვალიეროს ჩვენი ჟურნალის 1967 წლის № 5-ში მოთავსებული გურამ ფანჯიკიძის წერილი, სადაც დაწვრილებითაა მოთხრობილი თამარის შესახებ. რედაქციამ ჟურნალი თამარსაც გაუგზავნა. და აი, სულ ახლახან ლონდონიდან მოვიდა მისი ბარათი:

„ძვირფასო რედაქტორო და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ მკითხველებო. ჩემთვის დიდად სასიამოვნო იყო თქვენი თბილი წერილის და ჟურნალის მიღება. მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემი პირველი ურთიერთობა, რომელიც დამყარდა თქვენთან, იყო სწორედ „საქართველოს ქალის“ საშუალებით. გურამ ფანჯიკიძის წერილი გამსჭვალულია წმინდა სულიერი გრძნობით...

მე მთელი ჩემი გულით მწყურია საქართველოს ნახვა! ამასთან ერთად, მინდა ვისარგებლო შემთხვევით, თანაც ჩემ თავს მივცე უფლება ვიყო თქვენი კორესპონდენტი ლონდონში და გადმოგცეთ, რომ საქართველოს ცეკვის ანსამბლს ლონდონში აქვს საოცარი წარმატება. დიდი მადლობელი ვარ ქალბატონ ნინო რამიშვილის და ბატონ ილიკო სუხიშვილის, რომლებმაც პატივი დამდეს, რომ ყოველ საღამოს დავსწრებოდი კონცერტებს და მართლაც, ეს უზარმაზარი დარბაზი „ალბერტ ჰოლისა“ ყოველთვის სავსე იყო ხალხით. მათ შესახებ ბევრი რამ იწერებოდა გაზეთებში. შესანიშნავი რეცენზია იყო გაზეთ „სანდეი ობზერვარ-ში“.

მთელი ჩემი ნაცნობები, რომელთაც ბედი ეწვიათ, არამც თუ ენახათ ეს შესანიშნავი ანსამბლი, არამედ დალაპარაკებოდნენ კიდევაც მის წევრებს — დიდი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ სახლებში.

ამიტომაც, მართლაც რა ბედნიერებაა გჭონდეს ახლო ურთიერთობა საქართველოსთან.

მალე შეხვედრამდის.

აი, ჩემი წერილი!!!

თამარ დრაგაძე“.

ჟურნალი „საქართველოს ქალი“, № 10, 1967 წ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: მარქსის მოედანი წინათ (ქვემოთ) და ახლა.

„ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲩᲕᲔᲜᲪ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲧᲔᲜᲝᲗ“

ᲘᲜᲓᲝᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲰᲘᲓᲠᲝᲛᲔᲢᲔᲝᲠᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური კარგად არის მოწყობილი და ოპერატიულადაა დაკავშირებული ეკონომიკასთან, უთხრა ჩვენს კორესპონდენტს ინდოეთის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის გენერალურმა დირექტორმა, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის წევრმა **ლაქშმი საჰაი მატურმა.** თქვენს რესპუბლიკაში ამინდის პროგნოზირების დარგში წარმოებული კვლევის გაცნობა განსაკუთრებით საინტერესო და სასარგებლო იყო ჩემთვის, რადგან საქართველოსა და ინდოეთის ჩრდილოეთ რაიონების ბუნებრივი პირობები ჰგავს ერთმანეთს.

ლაქშმი საჰაი მატური მეუღლითურთ სსრ კავშირში ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის მთავარი სამმართველოს მოწვევით.

სამი დღის მანძილზე ინდოელი მეცნიერი სტუმრად იყო თავის ქართველ კოლეგებთან თბილისში. ამ ხნის მანძილზე იგი დაწვრილებით გაეცნო საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სტრუქტურასა და ორგანიზაციას, ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქმიანობას. სტუმარს ახსნა-განმარტებას აძლევდნენ საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს უფროსი გ. გერსამია და ინსტიტუტის დირექტორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. ლომინაძე. ჰიდრომეტეოროლოგიის პრობლემებზე გამართულ საუბრებში მონაწილეობდნენ სამართველოსა და სამეცნიერო ცენტრის წამყვანი სპეციალისტები.

ინდოელი სპეციალისტის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ამინდის სამსახურის სპეციალიზებული რადარულ-ლოკაციური სადგურებისა და ატმოსფეროს რადიოზონდირების სადგურების ფართო ქსელმა, რომლებიც აღჭურვილია თანამედროვე უაღრესად ზუსტი ხელსაწყოებით. ეს ქსელი, აღნიშნა ლაქშმი საჰაი მატურმა, საშუალებას იძლევა სწრაფად შეკრიბონ ვრცელი ინფორმაცია ატმოსფეროში მიმდინარე ყველა ცვლილების შესახებ.

ინდოეთის მეტეოროლოგიური სამსახურის გენერალური დირექტორის დიდი ინტერესი გამოიწვია ქართველი კოლეგების ცნობამ, რომ რესპუბლიკაში არის გეოფიზიკის, სეისმოლოგიის, ჰიდროლოგიისა და მეტეოროლოგიის სპეციალური სამეცნიერო ცენტრები, ამინდის პროგნოზთან დაკავშირებული მთელი რიგი სხვა დაწესებულებები. მან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ქართველ კოლეგებს შესაძლებლობა აქვთ ამინდის მდგომარეობის მთელი მონაცემები დაამუშაონ სწრაფად მოქმედი და უაღრესად ზუსტი ელექტრონულ-გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებით.

ინდოეთში, თქვა ლაქშმი საჰაი მატურმა, ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახური შეიცავს გეოფიზიკურ სამუშაოებსაც. იგი მუშაობს აგრეთვე ასტროფიზიკის, მაგნიტოლოგიის, სეისმოლოგიისა და ბევრ სხვა საკითხზე. საქართველოს ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის ბევრი მიღწევა, თქვა დასასრულ ინდოელმა აეროლოგმა, შეიძლება წარმატებით გამოვიყენოთ ჩემს ქვეყანაში, სადაც წარმოებს სერიოზული მუშაობა თანამედროვე მეცნიერების დონეზე ამინდის სამსახურის დაყენებისათვის.

ᲛᲔᲢᲠᲝᲚᲝᲒᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ რამდენიმე დღეს მუშაობდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი სოციალისტური ქვეყნების მეტროლოგთა თათბირი. თათბირი მოიწვია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სტანდარტიზაციის მუდმივმა კომისიამ. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლები.

სპეციალისტმა მეტროლოგებმა შეათანხმეს მეტროლოგიის პრობლემების რეკომენდაციები, რომლებსაც აქტუალური მნიშვნელობა აქვს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი მოძმე ქვეყნების თანამშრომლობისათვის. უმაღლესი სიზუსტის გაზომვათა სხვადასხვა მეთოდისა და გაზომვის მეთოდებისა და საშუალებათა უნიფიკაციის საკითხებში შეთანხმებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომ განვითარებას ნავთობგაზის, ქიმიის, მეტალურგიის, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგებში, აგრეთვე ხელს შეუწყობს შეიქმნას უახლესი საზომი აპარატურა და გაზომვათა მეთოდები, რომლებსაც იყენებენ მეცნიერებასა და ტექნიკაში.

„ᲖᲘᲩᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ“

ᲕᲠᲪᲔᲚᲘ გამოკვლევა — „ზიჩი საქართველოში“ გამოუშვა სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“. ეს წიგნი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბენო გორდეზიანის მრავალი წლის შრომის შედეგია.

შრომაში გაშუქებულია მხატვრის მუშაობა შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის დასურათებისათვის, დიდი ინტერესი, რომელსაც ზიჩი იჩენდა ქართველი ხალხისა და მისი წარსულისადმი. პოემის ილუსტრაციებს, რომლებიც დღემდე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება, უნგრელმა მხატვარმა გაუკეთა წარწერა: „ქართველ ხალხს — ჩემი სიყვარულისა და გულითადი ერთგულების ნიშნად“.

წიგნის მკითხველები გაეცნობიან ზიჩის ბიოგრაფიას მის ჩამოსვლამდე საქართველოში, შეიტყობენ იმ დიდ სიყვარულსა და სულიერ მეგობრობას, რომელიც მან უნგრეთსა და საქართველოს შორის დანერგა. მხატვრის ნათბობით დაინტერესებული მისი ნათესავი ევგენი ზიჩი სათავეში ჩაუდგა სამეცნიერო ექსპედიციას საქართველოში 1895 წელს.

ბ. გორდეზიანი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ზიჩის საქართველოში მეორედ ჩამოსვლას, მონოტიპებს წმინდა ნინოს ცხოვრებიდან ბოდბის ეკლესიისათვის და ცნობილი იკორთის ტაძრის მოხატულობას, რომელიც უნგრელმა მხატვარმა შეასრულა. ავტორი დაწვრილებით აღწერს ზიჩის მხატვრული პრინციპების თავისებურებას.

მომღერლის ოცნება და უბედობა



კომპასიანად მოულოდნელად გაიელვა და მოულოდნელადვე გაქრა მისი ვარსკვლავი. ქართული ვოკალური ხელოვნების მეკვლეთაგანი ცისკარივით ამობრწყინდა მშობლიურ ცაზე. ეს იყო ამ 75 წლის წინათ, ქართული ხელოვნების აუვავების გარიჟრაჟზე, როცა პროფესიული მუსიკა ფეხს იდგამდა და ჩვენი სახელოვანი კომპოზიტორები ნიკო სულხანიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, დიმიტრი არაყიშვილი და ზაქარია ფალიაშვილი ოცნებობდნენ ეროვნული ოპერის შექმნაზე, თავიანთი ნაწარმოებების თანამემამულე შემსრულებლებზე. ფილიმონ ქორიძის, როგორც საოპერო მომღერლის, მზე ამ დროს დაისისაკენ გადახრილიყო, მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი) თბილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის მერხზე იჯდა და სასწავლებლის მომღერალთა გუნდს ამშვენებდა წკრიალა ხმით; სერგო ევლახიშვილი კი ყმაწვილი გახლდათ და სიმღერაზე ოცნებობდა.

1913 წელსაც კი, როდესაც ქართული თეატრის სცენაზე ზაქარია ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ მესამე მოქმედება დადგეს, „სახალხო გაზეთი“ საზეიმოდ იუწყებოდა ამ სასიხარულო ამბავს და თან სინანულით, დიდი გულისტკივილით დასძენდა, რომ მთავარი როლის შემსრულებლები ქართველები არ იყვნენ. ამას ყველაზე მწვავედ თვით ოპერის ავტორი განიცდიდა, ყურს ეხამუშებოდა უცხო აქცენტი. ამასთანავე დიდ კომპოზიტორს კარგად ესმოდა, რომ თანამემამულე შემსრულებლის გარეშე სრულყოფილი არ იქნებოდა ეროვნული მუსიკა და მისი ვოკალური ხელოვნება. ალბათ ამიტომაც გაუჭიანურდათ ზ. ფალიაშვილს „აბესალომ და ეთერის“, ხოლო მელიტონ ბალანჩივაძეს „დარეჯან ცბიერის“ დამთავრება.

ვინ იცის, ჩვენი სასიქადულო მომღერლები ვანო სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი რომ არ ყოფილიყვნენ, იქნებ კიდევ ვერ დაემთავრებინა ზაქარიას ეს ოპერა. უსარაჯიშვილოდ და უინაშვილოდ ალბათ ვერც „დარეჯან ცბიერი“ და „თქმულება შოთა რუსთაველზე“ შეიქმნებოდა. მელიტონ ბალანჩივაძესა და დიმიტრი არაყიშვილს, ამ ოპერებზე რომ მუშაობდნენ, მთავარი როლების შემსრულებლად იმთავითვე მიხეილი (დარიალი), ვანო, სანდრო და ჩვენი მეოცნებე, ბედუკუღმართი მომღერალი პლატონ კაკაბაძე ესახებოდათ. ეს მატებდათ კომპოზიტორებს რწმენას, შემოქმედებით ძალასა და ენერგიას. და, როცა მიშელ დარიალზე, ვ. სარაჯიშვილზე და ს. ინაშვილზე ვლაპარაკობთ, არ შეგვიძლია არ გავიხსენოთ მათი წინამორბედი, შესანიშნავი მომღერალი, უდროოდ ჩამქრალი ვარსკვლავი. 1864 წლის 1 სექტემბერს ხონში დაბადებული პლატონ მიხეილის-ძე კაკაბაძე, რომელიც უთუოდ ღირსი იყო თავის სახელოვან თანამემამულეთა გვერდით მდგარიყო ქართული მუსიკალური კულტურის აუვავების გარიჟრაჟზე, მაგრამ ცხოვრების ჩარხის უკულმართმა ბრუნვამ წილად არ არგუნა ეს ბედნიერება.

ძნელია გარკვევით რაიმე თქვა ისეთ საოპერო მომღერალზე, რომლისთვისაც არასოდეს მოგვისმენია. დღეს ყველა გამოჩენილი ვოკალისტის თუ მსახიობის ხმა, ყოველი ამოსუნთქვა შეიძლება ფირზე ჩავწეროთ და შთამომავლობას შემოვუნახოთ, მაგრამ ტექნიკის ეს სიკეთე მხოლოდ ჩვენი საუკუნის პირმშოა. ამიტომ იძულებული ვართ პლატონ კაკაბაძის თანამედროვეთა მოგონებებითა და იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული ცნობებით დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ, თუ რა უნარისა და კლასის მომღერალი იყო იგი.

როგორც ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა და გამოქვეყნებული ცნობებიც მოწმობენ, პლატონი დიდი ნიჭით, ძლიერი და არაჩვეულებრივი ლამაზი ხმით (დრამატული ტენორით) დაჯილდოებული მომღერალი ყოფილა. მის ნიჭიერებას და ხმის სიკეთეს ერთხმად აღიარებდა ყველა, ვინც მას იცნობდა. მელიტონ ბალანჩივაძეს, რომელსაც ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა პლატონთან, ხშირად გულისტკივილით უთქვამს, პლატონი უდროოდ რომ არ დაღუპულიყო, სულ მალე საქვეყნოდ სახელმოხვეჭილი მომღერალი და ოპერის მსახიობი იქნებოდაო.

პირველდაწყებითი განათლება პლატონმა მშობლიურ ქალაქ ხონში მიიღო, ხოლო შემდეგ ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შეიყვანეს. როგორც გადმოგვცემენ, ყმაწვილკაცს დედის—სოფიო ბაღათურიას მუსიკალური ნიჭისა და საამო ხმის მადლი გამოჰყოლია... გიმნაზიაში სწავლის დროს მან საზოგადოების ყურადღება მიიპყრო, როგორც შესანიშნავი ხმით დაჯილდოებულმა ახალგაზრდამ. ამით გათამამებულმა და შეგულიანებულმა ჭაბუკმა გადაწყვიტა მთელი თავისი მომავალი ცხოვრება მუსიკის შესწავლისა და არტისტული კარიერისთვის დაეთმო. ამ გატაცებას ხელი შეუწყო ცნობილ მომღერალ ფილიმონ ქორიძესთან და კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძესთან დაახლოებამ. სწავლის პერიოდში პლატონი ხშირად ხვდებოდა მათ. ფ. ქორიძე და მ. ბალანჩივაძე იმხანად კონცერტებს მართავდნენ დასავლეთ საქართველოს სოფლებსა და ქალაქებში. ქუთაისშიც რამდენჯერმე დადგეს ცალკეული სცენები სხვადასხვა ოპერიდან. პლატონი ხშირად იყო მათთან, სწავლობდა ინსტრუმენტების დაკვრას და ხმას ავარჯიშებდა, ეხმარებოდა უფროსებს ხალხური სიმღერების ნოტებზე გადატანაში, მონაწილეობდა კონცერტებში, წარმატებით გამოვიდა ხარაზიშვილების თეატრში (ქუთაისში) ფ. ქორიძის მიერ დადგმული ოპერის ერთ სცენაში და საზოგადოების მოწონებაც დაიმსახურა.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ პ. კაკაბაძემ ვოკალური განათლების მისაღებად პეტერბურგს გამგზავრება გადაწყვიტა. საჭირო ფულის შესაგროვებლად 1890 წელს მან კონცერტები გამართა ქუთაისში, სოხუმში, ხონში. ამ კონცერტებს დიდი წარმატება ჰქონდა, რაშიაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის მელიტონ ბალანჩივაძეს, რომელიც პლატონს აკომპანიატორობას უწევდა. როცა ცოტაოდენი ფული მოაგროვა, პლატონი პეტერბურგს გაემგზავრა მუსიკალური განათლების მისაღებად და კონსერვატორიაში შევიდა. აქაც მელიტონი იყო მისი წინამძღოლი, ხელისშემწყობი და ბინაც მასთან ჰქონდა.

ერთი წლის შემდეგ ახლო მეგობრების რჩევით ახალგაზრდა მომღერალმა გაბედა და პეტერბურგის საიმპერატორო თეატრს მიმართა დასახმარებლად. ცნობილმა რუსმა სოლისტებმა

შორეული
გაკაპიტკების გზებით

კოსმონავტი, რომელიც მთვარეზე დაეშვება, აღმოაჩენს, რომ მისი რელიეფი არც თუ ისე ზუსტად ემთხვევა დედამიწაზე შედგენილ რუკას. ამას მოწმობს ქართველი ასტროფიზიკოსების მიერ ჩვენი ბუნებრივი თანამგზავრის ზედაპირზე აღმოჩენილი 10-ზე მეტი წარმონაქმნი. ობიექტები, რომლებსაც მეცნიერებმა უწოდეს „პოლარიკრატერები“ და „პოლარიციკები“, აღმოაჩინეს აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიებში შექმნილი ახალი ასტრონომიული ხელსაწყოს — მრავალარხიანი პოლარიზორის საშუალებით. იგი შესაძლებლობას იძლევა ექვს მნათ ეკრანზე დავინახოთ მთვარისა და პლანეტების სრული გამოხატულება მათგან არეკლილ მზის სხივებში.

უნიკალური ვიდეოხელსაწყოს სატელევიზიო ეკრანზე, რომელიც „გადაცემას“ იღებს კოსმოსიდან, ჩანს სამი პოლარიკრატერისაგან შემდგარი ჯაჭვი, ცვარისა და ცისარტყელას ყურეების რაიონში და წვიმის ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში. მთვარის საერთო სურათი შედგენილია 44 ათასი მნათი წერტილისაგან, რომელთაგან თვითეული იძლევა ინფორმაციას ჩვენი თანამგზავრის ზედაპირის ნაწილების აღნაგობის შესახებ. ქართველ ასტროფიზიკოსთა ახალი აპარატურა წამის მეათასედ ნაწილში თვითონ ამუშავებს და ანალიზებს სამყაროდან მოსულ არეკლილ სხივს. ეს საშუალებას გვაძლევს წარმოდგენა ვიქონიოთ მნათობის მთელი ხილული ნაწილის ქანების ფიზიკური თვისებებისა და განლაგების შესახებ.

— მრავალარხიანი პოლარიციზორის საშუალებით დაიწყო იუპიტერისა და სატურნის სისტემატური კვლევა, აღგვენენ მთვარის ზედაპირის პოლარიმეტრიული თვისებების სრულ რუკას, მაგრამ დედამიწის მონათესავე ციური სხეულების ბუნებისა და წარმოშობის გამორკვევა მხოლოდ ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა, რომლის გადაჭრას ხმარდება რესპუბლიკის ასტრონომთა მეცადინეობა, — უთხრა ჩვენს კორესპონდენტს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, აბას თუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორმა **ევგენი ხარაძემ**. ჩვენი მუშაობის სხვა მიმართულებაა ვარსკვლავეთის შესწავლა.

ობსერვატორიაში შედგენილია სპექტრების კატალოგები რამდენიმე ათასი ვარსკვლავისა მე-14 სიდიდემდე. მათ შესაძლებლობა მოგვცეს კერძოდ, დაგვედასატურებინა, რომ გალაქტიკას აქვს სპირალის სტრუქტურა. აბასთუმნელმა ასტროფიზიკოსებმა შეისწავლეს ვარსკვლავთშორისი მტვრის გარემო რამდენიმე ათეული მიმართულებით მზის გარშემო და შეასწორეს მანძილი დაახლოებით რამდენიმე ათასი სინათლის წლით. ვარსკვლავთშორისი შთანთქმის აღრიცხვა შესაძლებელს ხდის მოვახდინოთ გალაქტიკური სამყაროს აღნაგობის სურათის შესამჩნევი კორექტირება.

სამყაროს გამოკვლევის დროს აბასთუმანში იყენებენ ყველაზე თანამედროვე ტექნიკას. ეს შესაძლებელს ხდის აწარმოონ მრავალმხრივი დაკვირვება ეგრეთ წოდებულ არასტაციონარულ ვარსკვლავებზე, მზესა და გალაქტიკებზე. კარგად დამუშავებული ორიგინალური ასტროფიზიკური მეთოდების გამოყენება ობსერვატორიაში დაეხმარა მეცნიერებს პირველად შეეფასებინათ ნეიტრალური წყალბადის ვერტიკალური განაწილება დედამიწის ატმოსფეროში 300-2.500 კილომეტრ სიმაღლეებზე, აგრეთვე შეესწავლათ მისი რაოდენობის დამოკიდებულება მზის აქტივობაზე.

აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია დაარსდა 1932 წელს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ასტრონომია არ განვითარებულა. ახლა აქ ამ დარგში მუშაობს ასზე მეტი სპეციალისტი, რომელთაგან 36 ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი — თითქმის ყველა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზრდილია. ქართველ ასტროფიზიკოსთა გამოკვლევები ფართოდ არის ცნობილი საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ. აბასთუმანში ხშირად ჩამოდიან სპეციალისტები გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, დანიიდან, საფრანგეთიდან, ინგლისიდან და სხვა ქვეყნებიდან. ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში სტაჟიორებად მუშაობენ კრაკოვიდან და კოპენჰაგენიდან ჩამოსული ახალგაზრდა ასტრონომები.

საბჭოთა ხევსური
№ 19, ოქტომბერი, 1967 წ.

ლეონიდ იაკოვლევმა და ივანე მელნიკოვმა გამოსცადეს ახალგაზრდა ქართველი მომღერალი, საუკეთესო შეფასება მისცეს და უშუამდგომლეს თეატრის დირექტორ ვსევოლოჟსკისთან.

1891 წლის 16 ივნისს დირექტორმა საგანგებოდ მოწვეული კომისიის წინაშე გამოცდა დაუნიშნა ჭაბუკს.

გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ კაკაბაძეს სტიპენდიად თვეში 100 მანეთი დაუნიშნეს. ასეთი დიდი თანხის სტიპენდიად დანიშვნა მაშინ იშვიათი მოვლენა იყო. დამწყები ვოკალისტისათვის 20-25 მანეთიც ძლივს ემეტებოდათ. როგორც ვ. ბალანჩივაძე იგონებდა, მელიტონთან ერთად პლატონს ხელს უწყობდა, ეხმარებოდა და სწყალობდა აკაკი წერეთელიც.

პეტერბურგის კონსერვატორიაში სწავლის დროს პ. კაკაბაძე ხშირად გამოდიოდა საქველმოქმედო საღამოებსა და კონცერტებზე. რუსეთის სატახტო ქალაქში დაწინაურებული ქართველი ჭაბუკის ქებამ სამშობლოშიც ჩამოაღწია, 1891 წლის 15 ოქტომბერს „ივერია“ ათავსებს თავისი პეტერბურგელი კორესპონდენტის წერილს, რომელშიც აღნიშნულია: „სულით და გულით ვისურვებ, რომ ბ-ნ კაკაბაძის საქმე დაუბრკოლებლივ წასულიყოს, როგორც თავის თავისა, ისე მისი ქვეყნის სასახელოდ და კარგად გამოაუენებინოს ის ძლიერი ხმა, ბარიტონის მსგავსი მაღალი ტენორი, რომელიც იმას აქვს. ქართველებში პირველი მაგალითი იქნება, რომ ბ-ნი კაკაბაძე ასეთის საზოგადოდ დიდად იშვიათის ხმით გამოვა სამუსიკო მოღვაწეობის ასპარეზზე“.

პ. კაკაბაძე სწრაფად იზრდებოდა და ოსტატდებოდა, როგორც მომღერალი. პეტერბურგის მუსიკალურ წრეებში ერთხმად აღიარეს მისი იშვიათი ნიჭი და დიდი მომავალი. 1893 წელს საიმპერატორო თეატრის შუამდგომლობით ახალგაზრდა ქართველი მომღერალი უმაღლესი ვოკალური ცოდნის მისაღებად სახელმწიფო ხარჯზე მიავლინეს იტალიაში, ქალაქ მილანში, სადაც თითქმის ორი წლის განმავლობაში მეცადინეობდა პროფესორების სებასტიანო რონკონის, გეორგ სამარკოს და სხვა გამოჩენილ მუსიკოსი პედაგოგების ხელმძღვანელობით.

მილანში საბოლოოდ დაიხვეწა და მთელი ძლიერებით აყლერდა პლატონ კაკაბაძის ხმა, იშვიათი დრამატული ტენორი. ქართველ მომღერალს იტალიაში მალე ბევრი მეგობარი და თაყვანისმცემელი გაუჩნდა. განსაკუთრებით დაუახლოვდა პლატონი გამოჩენილ მომღერლებს პიეტრო ბატორეს, დელი აროს, სომეხ ვოკალისტებს ბეგლარ ამირჯიანს და კოსტანიანს, ცნობილ რობერტ ადელგეიმს, მეცენატ ცოვაკს.

უყვარდათ და დიდად აფასებდნენ პლატონის ნიჭს პედაგოგები, მეგობრები, მსმენელები, რაც კარგად ჩანს იმ ბარათებიდან და სამახსოვრო სურათებზე გაკეთებულ უბრალო მინაწერებიდანაც, რომლებსაც უცხოელს უგზავნიან თაყვანისმცემლები და კოლეგები. გეორგ სამარკოს პლატონისთვის საკუთარი პორტრეტი მიუძღვნია წარწერით: „იშვიათი ნიჭის არტისტს და ძვირფას საპატიო მეგობარს — ბატონ კაკაბაძეს“.

ცნობილი რობერტ ადელგეიმი კი ბარათით ამხნევებდა პლატონს და სასარგებლო რჩევა-დარიგებას აძლევდა: „თქვენ განგიზრახავთ მანდ მღერა. ძალიან კარგს იზამთ. მოიკრიბეთ ძალღონე და იმოქმედეთ. თამაშზე მაინცდამაინც ნუ იფიქრებთ... მთავარია ხმა, რომელიც თქვენ კარგი გაქვთ. მაშასადამე, წარმატებაც უეჭველი გექნებათ. ოღონდ გაბედულად. მთელი სულით და გულით გისურვებთ წარმატებას“.

ბელკანტოს გამოჩენილ დიდოსტატებთან ერთ წელზე მეტი გულმოდგინედ მეცადინეობის შემდეგ პ. კაკაბაძემ მილანის ერთ-ერთ თეატრში მიიღო დებიუტი, რომელიც მისი ბრწყინვალე არტისტული კარიერის დასაწყისი იყო. ამის შემდეგ „იმპრესის“ ფსევდონიმით იტალიის ქალაქებში იგი შესანიშნავად მღეროდა პირველ პარტიებს — „ფაუსტში“, „ფავორიტ ქალში“, „კარმენში“ და სხვა ოპერებში, ხოლო 1895 წლის აპრილში უკვე საუკეთესო საოპერო არტისტად აღიარებული რუსეთისაკენ გამოემგზავრა. „ივერიის“ კორესპონდენტი მილანიდან თანამემამულეებს სიხარულით აუწუებდა: „ამ დღეებში პეტერბურგს გავისტუმრეთ ახალგაზრდა მომღერალი ბატონი კაკაბაძე, რომელიც სამი წლით იყო გამოგზავნილი პეტერბურგის სათეატრო დირექციის ხარჯით გალობაში გასავარჯიშებლად. დღეს კი დაასრულა თავისი საქმე და პირველი დებიუტი საღდგომოდ იქნება მარინის თეატრში. ამ ყმაწვილ კაცს შესანიშნავი ტენორი აქვს და იმედია მალე სახელსაც გაითქვამს“.

1895 წლის აპრილში, მილანიდან დაბრუნებისთანავე, პ. კაკაბაძეს პეტერბურგის საიმპერატორო თეატრში დებიუტი დაუნიშნეს. ჯანღონით აღსავსე ახალგაზრდის, საუკეთესო რეპუტაციის მქონე ქართველი მომღერლის მისვლამ რუსეთის განთქმულ საოპერო თეატრში, სადაც სახელმოხვეჭილი მსახიობები მოღვაწეობდნენ, დიდი სენსაცია გამოიწვია, მაგრამ ეს დებიუტი პლატონისათვის საბედისწერო გამოდგა. სცენაზე გამოსვლის წინ კაკაბაძე ცუდად შეიქნა და ერთბაშად ხმა ჩაუწყდა. დებიუტი ჩაიშალა. თავის დროზე ამ მოულოდნელ სამწუხარო ამბავზე დიდი მითქმამოთქმა ატყდა. ამბობდნენ, ახალგაზრდა მსახიობი შურით აღვსილმა ადამიანებმა მოწამლესო. ახლა, სამოცდათხუთმეტი წლის შემდეგ, ძნელია იმის დადგენა, თუ რამდენად შეეფერებოდა ეს ავი ხმები სინამდვილეს.

მოულოდნელმა მარცხმა მძიმე გავლენა მოახდინა დებიუტანტზე. მორალურად გასტეხა და ფიზიკურად დასცა. საბოლოოდ ჯანმრთელობა ისე შეერყა, დაუძაბუნდა, რომ სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულმა რამდენიმე თვე იავადმყოფა და 1895 წლის 6 დეკემბერს მშობლების ოჯახში დალია სული. უდროოდ განსვენებული იქვე ხონში დაკრძალეს მცირე პატივით.

ქართული ვოკალური კულტურის ერთ-ერთი მერცხალი, მშობლიური საოპერო ხელოვნების უჩინო მოჭირნახულე პლატონ კაკაბაძე გარდაიცვალა მაშინ, როცა მისი ნიჭი ჯერ კიდევ სრულად არ იყო გაფურჩქნული, როცა მომღერალი ის-ის იყო ფართო შემოქმედებისა და მოღვაწეობის გზას უნდა დასდგომოდა. და ვინ იცის, რამდენი განუხორციელებელი ოცნება, რამდენი კეთილი ფიქრი და ზრახვა თან ჩაიტანა საფლავში. მელიტონ ბალანჩივაძესა და მის თანამედროვე სხვა ქართველ კომპოზიტორებს თავიანთი ოპერების პირველ შემსრულებლად პლატონ კაკაბაძე ესახებოდათ, მაგრამ მეოცნებე ბედკრულ მომღერალს განგებამ არ აღირსა ეროვნულ ოპერაში გამოსვლა, მშობლიური დიდი სცენის სითბო. სამაგიეროდ ის იყო ერთი პირველთაგანი, რომლის არტისტულმა ნიჭმა გზა გაუკვლია ქართული ვოკალური კულტურის განვითარებას, გამბედაობა შესძინა მომღერალთა მომავალ თაობას და სტიმული მისცა ჩვენს კომპოზიტორებს ეროვნული ოპერის შესაქმნელად.

ჩვენო ძვირფასო მეგობრებო, ქართული ხელოვნების ისტორიის ამ პაწია ფრაგმენტს მარტო იმიტომ კი არ გაუწყებთ, რომ თქვენი ინტელექტუალური ცოდნა გავამდიდროთ ან სიბრალულის გრძნობა გამოვიწვიოთ, არამედ გვინდა ცნობისმოყვარეობა გაგიღვივოთ ჩვენი წარსული ისტორიის ჩარხის ულმობელ ტრიალში კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილის მოღვაწეობისადმი, რომლის სრული სურათი დაუწერელია და ქართველი საზოგადოებრიობის ცხოველ ინტერესს იწვევს. კერძოდ, თითქმის არაფერი ვიცით იტალიის საოპერო სცენებზე პ. კაკაბაძის გამოსვლების შესახებ და იტალიური პრესის არც ერთი გამოხმაურება თუ შეფასება არ გაგვაჩნია. ასეთი მასალები თუ რეცენზიები კი საკმაოდ მოიძებნება და მათ მოპოვებას თქვენი დახმარებით მოველით, გარეჭართველნო. თქვენ ყველაზე მეტად მიგიწვდებათ ხელი მილანის ან სხვა ქალაქების გაზეთებზე და გვწამს საამისოდ მცირე დროს არ დაიშურებთ. მაშ ახე, მკითხველო, პატარა წვლილი თქვენც შეიტანეთ ჩვენი კულტურის ისტორიის და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულე ხელოვანთა მოღვაწეობის შესწავლაში.

ამირან ცამციშვილი

საქართველოს ეთნოგრაფიული ატლასი

ამსტერდამში ეთნოგრაფთა კონგრესზე გადაწყდა შეიქმნას საერთაშორისო ეთნოგრაფიული ატლასი. ამ განმაზოგადოებელმა გამოცემამ უნდა ასახოს მსოფლიოს ხალხთა სიმდიდრე და კულტურის თავისებურება, შეაჯამოს ეთნოგრაფიული მეცნიერების მიღწევები. მუშაობაში ჩაებნენ ქართველი მეცნიერებიც. მათ დაევალათ უხელმძღვანელონ აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის ერთიანი ეთნოგრაფიული ატლასის შედგენას, რომელშიც გაერთიანებული იქნება მიწათმოქმედების, მეცხოველეობის, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების, ტანსაცმლის ისტორია.

კავკასიის ატლასის ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა **გ. ს. ჩიტაიამ** ჩვენს კორესპონდენტს უთხრა:

— საქართველოში ატლასზე მუშაობა ჯერ კიდევ 1964 წელს დაიწყო. რესპუბლიკის ეთნოგრაფიული ატლასი შეადგენს ოთხ ტომს. პირველში იქნება შესავალი, მიწათმოქმედების ისტორია. ქართველი ხალხის ეთნიკური ისტორია, მისი ენა და დიალექტები, მონაცემები შინაგანი ურთიერთობის შესახებ, გამოცემის მიზნები და ამოცანები. მეორე ტომი ეძღვნება მევენახეობასა და მეღვინეობას. უნდა აღინიშნოს, რომ ქვევრში ღვინის დაყენება ძირითადად დამახასიათებელია მხოლოდ საქართველოსათვის. ღვინის დაყენების ეს ხერხი ძველთაძველია — იგი იცოდნენ ჩვენში თითქმის ოთხი ათასი წლის წინათ. მესამე ტომში აისახება საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, მეოთხეში — ტანსაცმლის ისტორია.


ცნობები საქართველოს სხვადასხვა ეპოქაში შრომის იარაღის, სახნავი იარაღისა და სხვა ელემენტების გავრცელების შესახებ მოცემული იქნება კარტოგრამებში. მათ ახლავს ილუსტრაციები და მოკლე განმარტებითი ტექსტი.

ატლასის შედგენისათვის მეცნიერები დიდ მუშაობას ეწევიან. ისინი სარგებლობენ ექსპედიციების მონაცემებით, არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ საზღვარგარეთის ლიტერატურით, საარქივო მასალებით, მუზეუმების ექსპონატებით.


ქართველმა ეთნოგრაფებმა უკვე შეადგინეს კარტოგრამები ამიერკავკასიის სახნავ-სათესი იარაღების ტიპების, პურეულის შესახებ. შემუშავებულია ქართული ენის დიალექტების რუკები, ანთროპოლოგიური რუკა.

ატლასის პირველი ტომის მასალების შეგროვება ძირითადად დამთავრდა.

ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები



ანანური.



„მიწა ქართული“, ასე უწოდა საქართველოს სსრ დამსახურებულმა მხატვარმა **კოკი მახარაძემ** თავის ახალ ნამუშევარს, რომლის ფოტორეპროდუქციას ამ სურათზე ხედავთ.

2.000 ექსპონატი

ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმი

თბილისში გახსნილ მედიცინის ისტორიის მუზეუმში თავმოყრილია ორი ათასი ექსპონატი, რომლებიც მოგვითხრობენ ქართული მედიცინის განვითარებაზე უძველესი დროიდან დღემდე.

საგულისხმოა, რომ მუზეუმი მოთავსებულია „ცისფერ მონასტერში“, სადაც XIX საუკუნის დამდეგს, თბილისში შავი ჭირის ეპიდემიის დროს, საავადმყოფო იყო.

მუზეუმის მრავალი ექსპონატი მოგვითხრობს საქართველოში მედიცინის მდიდარ და უძველეს ისტორიაზე. ქართველ მკურნალთა ხელოვნებას ეხებიან თავიანთ ნაწარმოებებში დიოსკოროდიუსი და ჰორაციუსი, პლინიუსი და პლუტარქი. იმის შესახებ, რომ მედიცინა განვითარებული იყო არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც არსებულ ქართულ კულტურულ ცენტრებშიც, მოთხრობილია IV-V საუკუნეების წერილობით ძეგლებში „წამებაი წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაი“, „ცხოვრება პეტრე იბერისა“, „ცხოვრება წმინდა ნინოსი“ და სხვ. მუზეუმში არის რუკა, რომელიც გვიჩვენებს, რომ ქართველებს შეუქმნიათ სამედიცინო ცენტრები პეტრიწონში (ბულგარეთი), ულუმბოში (თურქეთი), იერუსალიმში და სხვ.

არქეოლოგიურმა გათხრებმა თრიალეთში, არმაზსა და სხვა რაიონებში დაადგინეს, რომ ჯერ კიდევ მეორე ათასწლეულში ჩვენს წელთაღრიცხვამდე აქ მზადდებოდა ინსტრუმენტები ქირურგიული ოპერაციისათვის, სხვადასხვა ჭურჭელი წამლებისათვის, სააფთიაქო სასწორი. ამავე პერიოდს ეკუთვნის საგნები, რომლებიც მოწმობენ, რომ საქართველოში ცხოველთა ტვინისაგან აკეთებდნენ მალამოს კანის დაავადების სამკურნალოდ.

რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადამიანის თავის ქალები ტრეპანაციის ნიშნებით, რომლებიც მიეკუთვნება IV საუკუნეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

მრავალი ფოტოსურათი მუზეუმის მნახველებს აცნობს წარსული საუკუნეების საქართველოს თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწეებს, რომლებმაც სახელი გაითქვეს აგრეთვე როგორც გამოცდილმა მკურნალებმა. სამედიცინო წიგნების ავტორებმა. მათ შორის არიან იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, გრიგოლ ხანძთელი, ვახტანგ VI, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვები.

მალე მუზეუმში გაიხსნება გამოფენა, რომელიც მიეძღვნება ქართული მედიცინის მიღწევებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

მუზეუმის შექმნაში დიდი შრომა გასწია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიისა და ტროპიკული მალარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის განყოფილების გამგემ პროფესორმა მ. შენგელიამ.

დაგეძებენ, მოგელიან

ალექსანდრე (ალალუკა) ივანეს-ძე სხირელს, დაბადებულს ონის რაიონის სოფელ ხირხონისში, ეძებენ მეულლე — ანეტა, შვილები — ელიკო, გოგი, ზაურ სხირელები.



სპორტის ამბები

შვეიცარიიდან დაბრუნების შემდეგ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა დონეცკში ითამაშეს „შახტიორთან“ და დამარცხდნენ, შემდეგ როსტოვში შეხვდნენ ადგილობრივ სკა-ს და გაიმარჯვეს — 1:0, ქუთაისის „ტორპედომ“ „შახტიორთან“ — 0:0 დამთავრა ბრძოლა, როსტოველებთან კი დამარცხდა 0:3.

მორიგი მატჩები ქართველმა ფეხბურთელებმა თავის მოედანზე გაართეს. „დინამო“ ეთამაშა ალმაატის „კაირატს“. თბილისელებმა ადვილად დაამარცხეს მოწინააღმდეგე — 3:0. თავი გამოიჩინა ახალგაზრდა გოჩა გავაშელმა, რომელიც ორი ბურთის ავტორი გახდა, ერთი ბურთი კი გ. ნოდიამ გაიტანა. ქუთაისელებმა ვერ შეძლეს „პახტაკორის“ დამარცხება და ფრეს — 0:0 დასჯერდნენ.

ახლა თბილისის „დინამოს“ 37 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა. ქუთაისელები 25 ქულით მე-14 ადგილზე არიან.

კაუნასში დამთავრდა ხელბურთელთა ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. თბილისის „ბურევესტნიკი“ ძალიან ახლოს იყო მიზანთან, ბოლო მატჩში მოსკოვის „კონცეროსთან“ ფრეც კი ხელს აძლევდათ ქართველ ხელბურთელებს. მაგრამ ეს დაბაბული და საინტერესო ბრძოლა „კონცერომ“ მოიგო — 17:16 და ჩემპიონი გახდა. თბილისელები, ისე როგორც წინა ორ სეზონში, მესამედ გახდნენ ვერცხლის მედლის მფლობელნი.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საბჭოთა საქართველო

საბჭოთა საქართველო

სარედაქციო კოლეგია

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.